აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - **იასონ კიზირია.**

თანამდებობის დასახელება - **საკრებულოს თვმჯდომარე.**

ფრაქციის დასახელება - **ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო.**

კომისი(ებ)ის დასახელება - **ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვა.**

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) - **მაჟორიტარული - 63.07 ოლქი.**

საანგარიშო პერიოდი - **2025 წლის 30 ოქტომბრიდან 2026 წლის 01 ნომბრამდე.**

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - **რიგითი.**

1. **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

1.სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - **25**

საკრებულოს სხდომებზე დასწრება - **24**

2.სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - **15** მ/შ დროებითი კომისიების - 0

კომისიის სხდომებზე დასწრება - **11** მ/შ დროებითი კომისიების - 0

3.სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა - **3**

ფრაქციის სხდომებზე დასწრება - **3**

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- **აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი;**
- **სოციალური დახმარების პროგრამები;**
- **აბაშის მუნიციპალიტეტში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადების მოწონება;**
- **საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის**

ფარგლებში აბაშის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცება;

- **აბაშის, მარტვილის და სენაკის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „რაგბის განვითარების კლუბი ჯიხა“ ერთობლივად დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა.**

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა - **ასეთი საკითხი არ არის.**

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - **10** და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა **150**.

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

- **გზის საფარის მოწყობა;**
- **არხების ამოწმენდა;**
- **ხიდე-ბოგირების მოწყობა;**
- **გაზიფიცირება;**
- **სოფლებში ინტერნეტის მოწყობა;**
- **დასაქმება;**
- **სარეკრეაციო სივცეების მოწყობა;**
- **საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა.**

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები):

ასფალტო-ბეტონის საფარით მოეწყო სოფ. საგვაზაოს N5-N6 და სოფ. სუჯუნის N3 ქუჩები, წყემის ადმინისტრაციულ ერთეულში N6-7-8-9-10-13 ქუჩები, ასევე განხორციელდა ქალაქ აბაშაში, ნინოშვილის პირველი შესახვევში გზის და არხების მოწყობის სამუშაოები;

სოფლებში (ტყვირი,ცილორი,სუჯუნა,წალიკარი,ზანათი,გეზათი,გულუხეთი,სამიქაო და მაიდანი) მოეწყო გაზსადენის მაგისტრალი. ქოლობანში, ბულვანში და გუგუნაყათში დაიწყო მოსახლეობის აბონირება;

სხვადასხვა პროვაიდერის მიერ რამოდენიმე სოფელში განხორციელდა ინტერნეტის შეყვანა;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სხვადასხვა სახის სამუშაოები;

ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სახელობის პარკში მოეწყო საბავშვო ატრაქციონი;

კვათანაში, ტაძრის მიმდებარედ და ილიას ქუჩის დასაწისში მიმდინარეობს სკვერის მოწყობის სამუშაოები;

შეკეთდა სსიპ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ წყემის საჯარო სკოლის სპორტ დარბაზი;

სსიპ კვათანის საჯარო სკოლაში მოეწყო გათბობის სისტემა;

განხორციელდა აბაშის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. აბაშის I საჯარო სკოლის შენობისა და სპორტ-დარბაზის გადახურვის სამუშაოები;

დასრულდა და მიმდინარეობს ინვენტარით აღჭურვა 7 საბავშვო ბაღში (4 ახალი აშენებული და 3 რეაბილიტირებული).

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვიყავი ჩართული სხვადასხვა კულტურულ, საგანმანათლებლო, სპორტულ და სოციალურ ღონისძიებებში

შევსების თარიღი - **29 ოქტომბერი**

წარდგენის თარიღი - **31 ოქტომბერი**

ხელის მოწერა _____